

**11⁵⁽¹⁾ y *Nocardiophasis dessonvillei*-s დესტრუქციული აქტივობის
რეგულაციის ოპტიმალური რეჟიმი**

ასოც. პროფესორი მანანა გორდეზიანი

ელ ფოსტა: manana.gordeziani@tsu.ge

უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა, ბიოლოგიის დეპარტამენტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ. #13.

შესწავლილია ულტრაიისფერი გამოსხივების, იონური და არაიონური დეტერგენტების, გამოსხივებისა და დეტერგენტის ერთობლივი ზემოქმედების გავლენა 11⁵⁽¹⁾ y *Nocardiophasis dessonvillei*-ის უჯრედების დამაზიანებელ აქტივობაზე. ნაჩვენებია შერჩეული დეტერგენტის განსხვავებული კონცენტრაციების მოქმედების დინამიკა. დადგენილია ულტრაიისფერი გამოსხივების ლეთალური დოზა - LD₅₀, დეტერგენტის მაინჰიბირებელი კონცენტრაცია - IC₅₀ და უჯრედებთან ინკუბაციის ოპტიმალური დრო. LD₅₀/IC₅₀ ერთობლივი ზემოქმედების შედეგად 11⁵⁽¹⁾ y *Nocardiophasis dessonvillei*-ის ზოგიერთი ფუნქციური მახასიათებლის ცვლილების საფუძველზე დადგენილია შტამის დამაზიანებელი აქტივობის შემცირების ოპტიმალური რეჟიმი.